საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-02/136

17 ივნისი, 2022 წელი ქ. ბათუმი

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ხათუნა დუმბაძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ" დებულების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებისა (ოქმი №22-20/9, 01.06.2022), ხათუნა დუმბაძის დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 14 სექტემბრის № 01-09/513 ბრძანების, ზოგიერთი დოქტორანტისათვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 6 აგვისტოს N06-01/49 დადგენილების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისთვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 აგვისტოს №06-01/85 დადგენილების და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის 2022 წლის 10 ივნისის -MES 5 22 0000621764 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **„ისტორიის"** სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **ხათუნა დუმბაძის** სადისერტაციო ნაშრომის – **„ბათუმის საქალაქო თვითმმართველობა 1888-1914 წლებში"** საჯარო დაცვა დაინიშნოს 2022 წლის 7 ივლისს, 15.00 საათზე №37 აუდიტორიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32, კორპუსი N1, მე-2 სართული).

2. დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი დარგობრივი **(„ისტორია")** სადისერტაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1) ირაკლი ბარამიძე – ბსუ-ს ასოც. პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2) მაია კიკვაძე – ბსუ-ს პროფესორი (კომისიის მდივანი);
3) ემზარ მაკარაძე – ბსუ-ს პროფესორი;
4) თამაზ ფუტკარაძე –ბსუ-ს ასოც. პროფესორი;
5) ციური ქათამაძე –ბსუ-ს ასოც. პროფესორი;
6) მარინა ჯინჭარაძე –ბსუ-ს ასოც. პროფესორი;
7) რევაზ დიასამიძე –ბსუ-ს ასოც. პროფესორი;
8) ოლეგ ჯიბაშვილი – ისტორიის აკადემიური დოქტორი, ნიკო ბერძენიშვილის კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;
9) უჩა ოქროპირიძე – ისტორიის აკადემიური დოქტორი, ნიკო ბერძენიშვილის კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

3. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
4. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი რ. ხალვაში) და საბჭოს მდივანს (პროფესორი მ. კიკვაძე).
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. 130).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**